ოქმი:**ო02.37221161**

თარიღი:**26/04/2022**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. მახარაძე, ბ. კილაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, ნ.ურუშაძე, ლ.კილაძე, ა.ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში საკრებულოში აღნიშნულ პროექტებზე არ შემოსულა შენიშვნები და წინადადებები, მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

გამოყენებულია კვალიფიციური